

დამტკიცებულია შპს „საქაერონავიგაციის“ გენერალური დირექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის  
N161 ბრძანებით

სააერნოსნო მომსახურების გადასახდელები

მუხლი 1. საერთო დებულება

სააერნოსნო მომსახურების გადასახდელი შედგება მარშრუტის სააერნოსნო მომსახურების გადასახდელისა და ტერმინალის სააერნოსნო მომსახურების გადასახდელისგან.

მუხლი 2. მარშრუტის სააერნოსნო მომსახურების გადასახდელი

საქართველოს საჰაერო სივრცეში მარშრუტის სააერნოსნო მომსახურების გადასახდელის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი ფორმულით:

$$r = t \times N,$$

სადაც  $r$  – მარშრუტის სააერნოსნო მომსახურების გადასახდელი;  $t$  – მარშრუტის სააერნოსნო მომსახურების ერთეულის განაკვეთი - 89.57 ლარი ; $N$ - მომსახურების ერთეულის რაოდენობა.

$$N = d \times p,$$

$d$  – მანძილის ფაქტორი, რომელიც გაიანგარიშება საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდის შესვლის და გასვლის წერტილებს შორის ორთოდრომიული მანძილის (კილომეტრებში) გაყოფით 100-ზე. მანძილის ფაქტორი მძიმის შემდეგ ორი ნიშნით განისაზღვრება;  $p$  – საჰაერო ხომალდის წონის კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$p = \sqrt{MTOW/50},$$

სადაც  $MTOW$  – საჰაერო ხომალდის სერტიფიკატით განსაზღვრული მაქსიმალური ასაფრენი მასაა, რომელიც იზომება მეტრულ ტონებში. წონის კოეფიციენტი მძიმის შემდეგ სამი ნიშნის სიზუსტით განისაზღვრება.

მიმდინარე თვეში შესრულებული ფრენისათვის მარშრუტის სააერნოსნო მომსახურების გადასახდელის გაანგარიშების მიზნით სააერნოსნო მომსახურების ერთეულის განაკვეთის ევროში გადაანგარიშება ხორციელდება წინა თვეში ევროსა და ეროვნულ ვალუტას შორის დაფიქსირებული გაცვლითი კურსით. გაცვლითი კურსი განისაზღვრება როიტერსის მიერ ყოველდღიურად დღის ბოლოს დაფიქსირებული კურსის საშუალო თვიური მნიშვნელობით.

### მუხლი 3. ტერმინალის სააერნოსნო მომსახურების გადასახდელი

#### 3.1. ტერმინალის სააერნოსნო მომსახურების გადასახდელი

3.1.1. საქართველოს აეროპორტებში ტერმინალის სააერნოსნო მომსახურების გადასახდელის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$R=txN,$$

სადაც **R** – საჰაერო ხომალდის ტერმინალის სააერნოსნო მომსახურების გადასახდელი; **t**-ტერმინალის სააერნოსნო მომსახურების ერთეულის განაკვეთი - 417.34 EURO; **N** - წონის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$N=(MTOW/50)^{0.7},$$

სადაც **MTOW** – საჰაერო ხომალდის სერტიფიკატით განსაზღვრული მაქსიმალური ასაფრენი მასაა მეტრულ ტონებში.

3.1.2. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ინფორმაცია კონკრეტული საჰაერო ხომალდის მაქსიმალური ასაფრენი მასის შესახებ, წონის კოეფიციენტის სიდიდის გაანგარიშება უნდა მოხდეს ცნობილი მსგავსი ტიპის საჰაერო ხომალდების მაქსიმალური ასაფრენი მასის მიხედვით.

#### 3.2. ტერმინალის სააერნოსნო მომსახურების განაკვეთზე დაწესებული შეღავათები

3.2.1. კოპიტნარის აეროპორტში ტერმინალის სააერნოსნო მომსახურების ერთეულის განაკვეთი **t** – 250.41 EURO.

3.2.2. საჰაერო ხომალდისათვის, რომლის მაქსიმალური ასაფრენი მასა არ აღემატება 14 ტონას, ტერმინალის სააერნოსნო მომსახურების ერთეულის განაკვეთი **t** – 139.16 EURO.

3.2.3. იმ კომერციული გადამყვანისათვის, რომელიც 14 ტონაზე მეტი ასაფრენი მასის საჰაერო ხომალდით ასრულებს ადგილობრივ რეისს, ტერმინალის სააერნოსნო მომსახურების ერთეულის განაკვეთი **t** - 250.41 EURO.

3.2.4. იმ კომერციული გადამზიდველისთვის, რომელიც ახორციელებს მხოლოდ სატვირთო ავიაგადაზიდვებს, თუ კალენდარული თვის განმავლობაში აკუმულირებული მასა<sup>1</sup> არ აღემატება 1000 ტონას, ტერმინალის სააერნოსნო მომსახურების ერთეულის განაკვეთი **t** – 417.34 EURO, ხოლო თუ აკუმულირებული მასა აღემატება 1000 ტონას, მაშინ **t** – 250.41 EURO.

3.2.5. ტერმინალის სააერნოსნო მომსახურების ერთეულის განაკვეთი **t** – 77.74 EURO, თუ საჰაერო ხომალდის მაქსიმალური ასაფრენი მასა არ აღემატება 14 ტონას, ხოლო 250.41 EURO, თუ საჰაერო ხომალდის მაქსიმალური ასაფრენი მასა აღემატება 14 ტონას შემდეგ შემთხვევებში:

- ა) არასასურველი მეტეოროლოგიური პირობების გამო სათადარიგო აეროდრომზე დაშვება;
- ბ) ტექნიკური გაუმართაობა;
- გ) საწვავით კმაგაწყობა თუ საჰაერო ხომალდი აეროდრომზე გაჩერებულია არაუმეტეს 48 საათისა;
- დ) ავადმყოფი ბორტზე;
- ე) აეროდრომის რაიონში საცდელ-სავარჯიშო ფრენა;
- ვ) რადიოსანაოსნო მოწყობილობათა შემოფრენა.

<sup>1</sup> კომერციული, სატვირთო გადამზიდველისათვის, საჰაერო ხომალდის მაქსიმალური ასაფრენი მასის ნამრავლი (ყოველი თვის 01-დან მომდევნო თვის 01-მდე შესრულებული) სატვირთო რეისების რაოდენობაზე;

3.2.6. შვეულმფრენისათვის ტერმინალის სააერნაოსნო მომსახურების ერთეულის განაკვეთი  $t = 77.74$  EURO ასაფრენი მასის და ფრენის მიზნის მიუხედავად.

3.2.7. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ბაზირებული ავიაკომპანიებისათვის და თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ბაზირებულ ავიაკომპანიებთან ზიარი კოდის შეთანხმების მქონე ავიაკომპანიებისათვის რომლებიც რეგულარული ფრენებით ახორციელებენ მგზავრთა გადაყვანას და კალენდარული თვის განმავლობაში თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჯამურად ასრულებენ 220 ან მეტ აფრენა-დაფრენას, ტერმინალის სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელი დადგინდეს 50%-ანი შეღავათიანი ერთეულის განაკვეთი:  $t = 208.67$  EURO.

#### **მუხლი 4. სააერნაოსნო ინფორმაციის მომსახურების გადასახდელი**

- 4.1. საქართველოს AIP-ი რგოლურად აკინძული ბეჭდვითი ვერსია, AIP-ის ცვლილებებთან, დამატებებთან, NOTAM Summaries და AIC-თან (სააერნაოსნო ცირკულარი) ერთად - 300.00 აშშ დოლარი (დღგ-ს ჩათვლით).
- 4.2. AIP-ის ცვლილებებზე, დამატებებზე, NOTAM Summaries, AIC-ზე წლიური ხელმოწერა (დღგ-ს ჩათვლით) - 230.00 აშშ დოლარი.
- 4.3. საქართველოს ელექტრონული AIP-ი (CD-ROM), AIP-ის ცვლილებების, დამატებების, NOTAM Summaries და AIC-ის ელექტრონული ვერსია (დღგ-ს ჩათვლით) - 170.00 აშშ დოლარი .
- 4.4. საქართველოს ელექტრონული AIP-ის (CD-ROM) ცვლილებების, დამატებების, NOTAM Summaries, AIC-ის ელექტრონული ვერსიაზე წლიური ხელმოწერა (დღგ-ს ჩათვლით) - 170.00 აშშ დოლარი.

#### **მუხლი 5. კავშირგაბმულობის მომსახურების გადასახდელი**

- 5.1. სააერნაოსნო ფიქსირებული სატელეკომუნიკაციო ქსელის ინდექსის მინიჭებისათვის და სააერნაოსნო ინფორმაციის კრებულში რეგისტრაციისათვის - 100.00 ლარი.
- 5.2. პროგრამული ინსტალაცია - 50.00 ლარი;
- 5.3. რადიოკავშირის საშუალებების იჯარის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის საფასური თვეში - 23.00 ლარი.
- 5.4. ერთი ხმკ-ის ხაზის სააბონენტო საფასური თვეში - 18.00 ლარი.
- 5.5. ერთი შეტყობინების გაგზავნა - 3.00 ლარი.
- 5.6. ჩამწერი სისტემა „რიკოშეტის“ 1 წუთის გაშიფვრის ღირებულება - 61.00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით).

#### **მუხლი 6. ანგარიშების წარდგენა და გადასახდელის აკრება**

- 6.1. მარშრუტის სააერნაოსნო მომსახურების მომხმარებლებისათვის ანგარიშების წარდგენას და გადასახდელის აკრებას შპს „საქაერონავიგაციის“ და სსიპ „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ სახელით ახორციელებს ევროპის სააერნაოსნო უსაფრთხოების ორგანიზაციის (EUROCONTROL) მარშრუტის სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელის ცენტრალური სამსახური (CRCO).
- 6.2. ტერმინალის სააერნაოსნო მომსახურების მომხმარებლებისათვის ანგარიშების წარდგენას და გადასახდელის აკრებას ახორციელებს შპს „საქაერონავიგაცია“. ანგარიშის წარდგენა განხორციელდება EURO-ში. გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც აშშ დოლარში, ასევე ლარში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის გამოყენებით ([www.nbg.ge](http://www.nbg.ge)).
- 6.3. სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელის გადახდაზე პასუხისმგებელია ის გადამზიდველი (ექსპედიტორი)-პირი, რომელიც საჰაერო ხომალდის ფრენის დროს ახორციელებდა გადაზიდვას (ექსპედიციას).
- 6.4. თუ გადამზიდველი/გადამყვანი (ექსპედიტორი) უცნობია, მაშინ საჰაერო ხომალდის მფლობელი

ჩაითვლება გადამზიდველად/გადამყვანად (ექსპედიტორად), მანამ სანამ ის არ განსაზღვრავს გადამზიდველს/გადამყვანს (ექსპედიტორს).

6.5. იმ შემთხვევაში თუ გადამზიდველი/გადამყვანი (ექსპედიტორი) ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, მაშინ გადამზიდველი/გადამყვანი (ექსპედიტორი) და საჰაერო ხომალდის მფლობელი ერთად არიან პასუხისმგებლები სააერნოსნო მომსახურების გადასახდელის გადახდაზე.

6.6. 2020 წლის 1 იანვრიდან სააერნოსნო მომსახურებაზე დაგვიანებული გადახდისათვის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 9.72%.

6.7. ფრენის შესრულებისთანავე ტერმინალის სააერნოსნო მომსახურების გადასახდელის გადახდის სურვილის შემთხვევაში, ტერმინალის სააერნოსნო მომსახურების გადასახდელის დაფარვა უნდა მოხდეს საბანკო ანგარიშსწორების გზით, ქვემოთ მოცემული საბანკო რეკვიზიტების გამოყენებით:

PROPERTIES OF THE BANK FOR GEL PAYERS:  
BENEFICIARY: "SAKAERONAVIGATSIA" LTD.  
BENEFICIARY BANK:  
JSC "TBC Bank", Head Office CODE-TBCBGE22,  
ACC#GE19TB7188636070100001

PROPERTIES OF THE BANK FOR USD PAYERS:  
INTERMEDIARY BANK:  
CITIBANK N.A.  
NEW-YORK, USA  
SWIFT: CITIUS33  
ABA: 021000089  
BENEFICIARY BANK:  
JSC "TBC Bank", Head Office  
SWIFT: TBCBGE22  
BENEFICIARY: SAKAERONAVIGATSIA LTD.  
ACCOUNT GE63 TB71 8863 6170 1000 01

PROPERTIES OF THE BANK FOR EURO  
PAYERS: INTERMEDIARY BANK:  
DEUTSCHE BANK AG  
FRANKFURT/MAIN,  
GERMANY SWIFT: DEUTDEFF,  
BLZ: 50070010  
BENEFICIARY BANK:  
JSC "TBC Bank", Head Office  
SWIFT: TBCBGE22  
BENEFICIARY: SAKAERONAVIGATSIA LTD.  
ACCOUNT GE63 TB71 8863 6170 1000 01

## **მუხლი 7. გადახდის პირობები**

სააერნოსნო, სააერნოსნო - ინფორმაციული და კავშირგაბმულობის მომსახურებაზე გადახდის პირობები განისაზღვრება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით.

## **მუხლი 8. სხვადასხვა**

8.1. სააერნოსნო მომსახურების გადასახდელის გადამხდელია ყველა ამ მომსახურების მომხმარებელი, მიუხედავად იმისა საქართველოს რეზიდენტი იგი თუ არა, და მიუხედავად საკუთრების ფორმისა და დაქვემდებარებისა, გარდა საქართველოს საჰაერო კოდექსითა და ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროს ნორმატიული აქტით განსაზღვრული, სააერონავიაციო მომსახურების გადასახდელისაგან გათავისუფლებული ფრენებისა.

8.2. სააერონავიაციო მომსახურების გადასახდელისაგან კანონმდებლობით გათავისუფლებულ ფრენებზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

8.3. სააერონავიაციო მომსახურების გადასახდელის გადახდისაგან თავისუფლდება საქართველოს საჰაერო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფრენები, ხოლო მარშრუტის სააერონავიაციო მომსახურების გადასახდელისგან თავისუფლდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 5 მარტის N1-1/67 ბრძანების მე-5 მუხლით გათვალისწინებული ფრენები.

ნებისმიერი ინფორმაცია შეიძლება მიღებულ იქნეს:

შპს “საქაერონავიაცია”:

საქართველო, თბილისი,

აეროპორტი, 0198

ტელ.: 995 32 744 212

ფაქსი: 995 32 744 227

ტელექსი: 212329

Sita: TBSYTSU AFTN:

UGGGGNXX

<http://www.airnav.ge>

[E-mail: office@airnav.ge](mailto:office@airnav.ge)